

შპავესკის თეატრი

დღეს ხუთშაბათს, 25 ნოემბერს, მხატვრული

საღამოა ი. ბრიჯაშვილის

მონაწილეობით.

პროგრესული მოვლანი.

IV.

ქართველი ერი გრძობს ტრაგიზმს, ამ მისი დემოკრატიული რესპუბლიკა გარშემორტყმულია შეუფერველ მებრძოლებით.

ამ მებრძოლებში კულტურა და დემოკრატიული აღზრდა აწ თუ შეუფერველად არ არის.

ამ მოსახლურ ერებში თუ ხალხში არაა ისე ძლიერი თავისებულების თვითდაცვის ძეგა ეროვნულ დემოკრატიულობისთვის სწრაფვა, როგორც საქართველოში. ან თუ გააღიან დამოუკიდებლობის ასპარეზი, ესა თუ ის ჩვენი ახლობელი ერი, ისინი ვერ ახერხებენ ბოლომდე განმტკიცებას თვით ხელმწიფოებისა და ხშირად ავანტიურით კვდებიან, ან გარეშე მტრის მსხვერპლი დებიან.

ჩრდილო კავკასია, აზერბაიჯანი და სამხეთი ყველა სუსტი მებრძოლებია სახელმწიფო თვით მყოფობის გზაზე.

და დღეს როდესაც მსოფლიო ამებების და ცვალებადობათა ტალღები მიერ კავკასიას შეეხო (ჯერ მოსკოვის გზით, აზერბაიჯანის გაწითლება). კავკასიაში ყველა ამ ამბებს მარჯო საქართველო ხედება თავის დროით საკუთარ სახელმწიფოებრივობის დაცვის მდგარ წყურვილ სურვილით.

კავკასიაში მარჯო ქართული სახელმწიფო დამოუკიდებლობის რევოლუციის პროცესში, ეს ბებერი ორი თას წლიანი სახელმწიფო აღსდგა და თანდროულ კულტურის ზიარებით განაგრძობს დაწინაურებას და საერთო წინსვლის. ქართული სახელმწიფო უღრან ტყეშია, რომელიც დასახლობი არაფინ რჩება, მაგრამ ქართველი დემოკრატია საარაკო ხნეობას იჩენს და იბრძვის საერთაშორისო კომინაციებში შეუნარჩუნოს ქართველ ხალხს ძვირფასი თავისუფლება.

საქართველო ტონის მიშეში იყო მთელ კავკასიისთვის და ეს როდი მან პირნათლად ასრულა იმთავიდანვე მაგრამ ახლა ისეთი ყოფა შეიქმნა, რომ კავკასიის ერები დაიქსატენ, აზერბაიჯანმა თავი მოიკლა, ჩრდილო კავკასიაც ასე სომხეთი დაემხო და საქართველოს გარშემო ცეცხლი დაიწყო, ცეცხლი რომელიც ჩვენც გრემუქრება დაწვით.

ქართველი დემოკრატია ივალისწინებს რა ამ ვითარებას მოადადებაში მოჰყავს ყველა თავის ძალები და ამცნობს ქვეყანას, რომ სრულიად ქართველი ერი დამოუკიდებლობისთვის და დემოკრატიულ თავისუფლებისთვის ვით ერთი კაცი თავს მოიკლავს. ქართველი დემოკრატია ყოველ დროით ცდილობს მორიდდეს მტრებთან და ერთდოს სისხლის დაქცევას, ქართველი დემოკრატია მხნევედება იმით რომ საქართველო შიგნით გამაგრდა ხალხმა იგრძნო დამოუკიდებლობის სიტკბო, საქართველოს იურიდიულად იცნო მეცნიერების და ტექნიკის სამშობლო

გერმანიამ საქართველო მიიღეს ხალხთა ლიგაში საქართველოსთან არის ევროპის დემოკრატია, ეს ძალთ მზადებს მშრომელ საქართველოს მაგრამ გარდა ამისა ოფიციალ ევროპისთვის, თუ მისთვისაც რიიმე პერსპექტივა კი არსებობს კავკასიაში საქართველოს სახელმწიფოური სიცოცხლე აუცილებლობას წარმოადგენს, საქართველო გარდა იმისა, რომ აზიის გზადა ხილია საქართველო ამავდროს კავკასიაში სახელმწიფოური კულტურა.

ამიერ კავკასიის კულტურულ, ეკონომიური განვითარება საქართველოთი უნდა დაიწყოს, ბათუმის კარებში შემოვა მთელი კავკასიისთვის ევროპის სიკეთე და კულტურა საქართველო საბატიო სახელმწიფოთა კავკასიაში,

ი. დიდიძე

სტამბოლის პრესა.

სტამბოლის ბერძნულ გაზ. კირისში 28 ოქტომბრის ნომერში გადასტამბულია წერილი გაზ „ბათუმის ფურცლიდან“ ბერძენ გამოქვეყნების და ბერძნულ მისიის მოქმედების შესახებ.

გაზეთი სიხარულით ეგებება ქართულ პრესის ასეთი განწყობილებას და თანაგრძობას ბერძენ გამოქვეყნება ტანჯვისადმი იმედოვნება რომ ამიერიდან ქართული პრესა ყოველთვის აღნიშნავს ბერძენთა მდგომარეობას საქართველოში და დასახელებს ყველა დამნაშავე პირებს.

შპანასპნალი საათი.

— რესპუბლიკის ჯარებმა ბორჩალოში ნეიტრალური ზონა დაიკავეს. ნეიტრალ ზონაში ხალხი უსაზღვრო სიხარულით შეეგება საქართველოს ჯარის შესვლას.

— ბერძნული უცხო გაზეთები (საზღვარ გარეთ რომ გამოდიან) სასტიკად ჰკიცხავენ ბერძნის ხალხს რომლებსაც ასეთი ამაშფოთებელი უმადურობა გამოიჩინა ვენიზელო სისადმი. სტამბოლის მთავრობა და საზოგადოთ ოსმალნი კმაყოფილებით შეხვდენ კოსტანტინეს ხელახალ გამეფებას.

— დიდ სავაქრო ბრიტანულ ფირმის ლევანტის წარმომადგენლები ამ დღეებში სტამბოლიდან ბათუმში ბრუნდებიან.

— სტამბოლის კომერციულ წრეებში გავრცელებულია აზრი, რომ ამ ბოლო ხანში ბათუმთან აღებმიცემობა დიდათ გამოკაცხდებოდა, ვაჭრებს დიდალი საქონელი აქვთ ბათუმისთვის დაგროვილი.

— ქართულ ზონების სტამბოლის ყველა ბანკებში მიღებამ გული გაუკეთა უცხო ვაჭრებს.

— რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ მოსკოვის მთავრობის აუზნაური ბათუმის ევროპის გადაცემის შესახებ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

სტამბოლის სტამბოლი.

(საკ. კორეს.)

— ანტანტის წარმომადგენლებს განუწყვეტელი მოლაპარაკება აქვს ქვეალ ფაშის რწმუნებულებთან.

— ხმებია სტამბოლიდან მოკავშირენი ბევრ რამეს დაუთმობენ ქვეალ ფაშას ოღონ კი ის ბოლშევიკების წინააღმდეგ აღძრანო.

— ტრაპიზონის გაზეთების ცნობით სომხებმა უკვე ჩააბარეს მთელი იარაღი ყარაშეჟირ ფაშას და ითხოვენ ჯარს.

— ტრაპიზონის ბერძნულ ცნობებით ყარა შეჟირ ფაშას ოპერაციების განვითარებას ბაქოს მიმართულებით ბოლშევიკები ხელს უშლიანო.

დღეს.

ჩვენ ყოველ დღე ვსტირით რომ ქართულ თეატრს, სამშობლოს სულიერ ძეგლს აქ ბათუმში ხალხმა ზურგი შეაქცია მაგრამ ჩვენ ეს უნდა დავძლიოთ, თუ გვინდა ქართველობა და ქრონულ სულის ამაღლება-განვითარება. დღეს ქართულ თეატრში იმართება ქართული საღამო პოეტების ი. გრიშაშვილის, გ. ქუჩიშვილის და დამსახურებულ ქართველ მსახიობთა მონაწილეობით. ქართულ საზოგადოებას, ქართველ მუსლიმანობას ჩვენ ვეძახით თეატრისკენ. დღევანდელი საღამო პირველია განთავისუფლებულ ბათუმისთვის დავესწროთ ამ საღამოს ყველა, ნუ ვათქმევინებთ უცხოელებს, რომ ჩვენ მშობლიური თეატრი არ გვიყვარს.

დღეს ბათუმელებმა ვნახოთ ჩვენი ნიჭიერი პოეტები და მსახიობები.

დავსტებთ მათი სიძღვრით.

გ—ლი.

ქრონიკა.

დღეს ი. ბრიჯაშვილის, გ. ბრიჯაშვილის, ელ. ჩხარაშვილის და სხ. მონაწილეობით იმართება მხატვრული დიდი საღამო.

ქართული დრამა. შაბათს, 27 ნოემბერს შამევესკის თეატრში, სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ გაიმართება საგასტროლო წარმოდგენა. მონაწილეობას მიიღებენ ქართ. თეატ. დამსახურებული მსახიობი ელ. ჩერქეზიშვილისა და თბილისის სახალხო სახლის დამსახურებული მუშაკი ნიკო გოციორიძე. ამ წარმოგენისათვის მზადდება აქვ. ცაგარლის ცნობილი კომედია „სახუმა“. უმთავრეს როლებს შეასრულებენ ვასტროლიორები და აგრეთვე მონაწილეობას მიიღებს ადგილობრივი მთელი დრამატიული დასა პავსას დადგამს რეჟისორი ივ. ბარველი.

განსაკუთრებულმა რწმუნებულმა ბძანება გაცა მილიციის უფროს, ესწრებოდეს ყოველ გემის მოსვლას ან წასვლას, რომ ჩვენ ტერიტორიაზე არ შემოდრიოდენ არა საქართველოს ქვეშევრდომები.

კინტრიშის, ქვემო აქარის, გონიის, ართვინის, არდანუქის, შავშეთი იმერხევის და ართვინის სასურსათო საქმეთა რწმუნებულები თხოვენ მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულს, რომ აღსდგეს ძველი სასურსათო ორგანო ხასან-ფენდი ლორთქიფანიძის მეთაურობით რამელიც არსებობდა ოსმალთა შემოსვლამდე და უძღვევოდა ოქქის სურსათით უზრუნველ ყოფის საქმეს.

ნოემბრის 24 სიღამოს 9 საათზე მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულთან, სადარბაზოთ იყო ქალაქის მოურავი ბნი ვიზო ანჯაფარიძე.

მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულმა წინადადება მიცა ცინე-სიმაგრეთა საინჟინერო ნაწილის უფროს ინჟინერ პოლოკოვიკ კანდელაკს ყოველ დღე წარმოუდგინოს მას მოხსენებები ყაზარმების შესაკეთებლად წარმოებულ მუშაობის შესახებ.

ბათუმში ჩამოვიდა დამფუძნებელი კრების წევრი ბნი თელო ლლონტი.

ამერიკელი ოფიცერი თხოვს სამხედრო სამინისტროს ნება დართონ მას შეხვდეს გუმბრიდან წამოსულ ოფიცრებს არტანის გზით.

23 ნოემბერს ღამის 11 საათზე ერისთავის ქ. მცხოვრები ევლოკია ევლიკოვსკაიამ გააცხადა რომ ბოროტმოქმედებმა მისი შინ არ ყოფნის დროს მოპარეს ქართული ფული 75,000 მანეთი და ნიკოლოზის ფული 23000 მ. ტანსაცმლებით, სულ ღირებული 500,000 მ. ეჭვი მიუტანია სოფლო სტანისლავის ასულ ნორთქიფანიძეს. გამოძიება წარმოებს.

მეორე უბნის კომისრის მიერ შეყენებულ იქნა ოქმი მცხოვრებ დუნდუ-კარსაკოვის ქუჩაზე, მიხელაშვილზე სანიტარულ წესების დარღვევის გამო.

განსაკუთრებულ რწმუნებულის საქმეთა მართველს დაუდგენია: გაზეთების ცნობები გაზეთის თანამშრომლებს მიეცეს ყოველ დღე ს ღამოს 6 საათზე.

გუმინ საღამოს 5 საათზე ბოროტ გამძრახველებს გაუძარცვათ კარანტინის თეთრეულობის საწყობი და წაუღიათ დიდ ძალი თეთრეულობა. საწყობის გამგე გუჯაბაძეს ეჭვი მიუტანია მსახურ ქალ მუხაბეჯანოვზე. გამოძიება სწარმოებს.

ართვინის ციხის უფროსს, ვ. მოსევილს რომელიც დროებით ლტოლვილთა კომენდანტათ იყო დანიშნული ჩამოეყვანია 2000 ფურგონი ლტოლვილი ბერძნები. ლტოლვილთ სურსათ სანოვავე თან ჩამოუტანიათ. მოსევილი ლტოლვილთა შესახებ მოხსენებით წარუდგება საგანგებო რწმუნებულს და შემდეგ ბერძენთა კონსულს.



ქალაქში სროლისათვის მი-
ტის უფროსმა დაპატიმრა ამე-
ლი ოფიცრები.
ბათომელ ქართველ ქალთა
გამგობა აცნობს ყველა წევ-
რს, რომ საწევრო გადასახადის
ტანა ხდება ყოველ დღე შე-
ნის ქუჩაზე ამავე წრის სასა-
ლოში. დილის 10 ს.—12-დის
საღ. 4—8-დის. საწევრო გადა-
სახადის რაოდენობა 100.

**პარტი უკრაინის
უფროსთის.**

ბათომის განსაკუთრებულმა
მნიშვნელობა ბ-ნ გრ. გიორგიძემ
ბათომის თავმჯდომარეს და მო-
გების სამინისტროს დეპუტატს გა-
ხანა იმის შესახებ რომ მას მიე-
საკმაო პური ჯარისთვის ბათო-
მის უკიდურეს შემთხვევაში ნე-
ქონდეს პური პირდაპირ მომა-
გების სამინისტროს წარმომად-
გენლისგან მიიღოს. ახლა კი ისეთი
გამარობა რომ კრიტიკულ მო-
საზრებაში მთავრობის განსაკუთრებულ
მნიშვნელობას უხდებდა პურის კერძო
წარმოებას მომარაგების სამინის-
ტროს. ბათომელ წარმომადგენელს
ქალაქში აქვს პურის ადგილობ-
რივი გაყვამა.

**სოციალისტური ინტერნაციონალის
ნაღი.**

(გაგრძელება *)
სოციალისტური წყობილების
სოციალისტურად გარდაქმნა მოით-
ვით მთელ რადიკალურ ცვლილე-
ბას ეკონომიურსა და პოლიტი-
კურსაში. ამ ცვლილებებს
მოახდენს კაპიტალისტური
კლასი, რომელიც მმართველობას
ხდის სათავეში, ამას მოახდენს მხო-
ლოდ მუშებმა. ეს ამოცანა რომ
დასრულდეს მუშების ხელში უნდა
დასახელდეს საზოგადოებრივი აპ-
არტი, და ეს უნდა გაგებდეს
მუშებმა, სანამ არ დამთავრდება მუ-
შებმა სოციალიზაციის, სანამ არ
გარეგნობა ეკონომიური პარტიები,
სანამ მუშათა კლასი არ გაქრება,
როგორც კლასი და სანამ მუშათა
კლასის სახელმწიფო (პროლეტარია-
ტული დიქტატურა) ადგის არ და-
სრულდეს სოციალისტური წყობილე-
ბის მთავრობას, რომელიც პროლე-
ტარიატის შეიქმნება, რომელიც კლასს
უფლებდეს.

მაგრამ როგორ იქნება ხასიათი
პროლეტარულ მთავრობისა ამ „გა-
დასახელო ხანაში“? დაეყარება ეს
მთავრობა ყოველგვარ პოლიტიკური
პარტიის ჩაღვლაზე, თუ ეს იქნება
მთავრობა უბრალო უმცირესობისა,
რომელიც საკმაო იყო იმისათვის,
რომ კაპიტალისტური კლასისათვის
უზენაესყო მისი ეკონომიური
სიმტკიცე?

კომუნისტური ინტერნაციონალი
დადებს, რომ პროლეტარიატის
დიქტატურა გულისხმობს, რომ ბურ-
ჟუაზიას წაერთმევა ყველა უფლებე-
ბა რომ ყოველგვარი პოლიტი-
კური ოპოზიცია ჩაკლული იქნება
მთლიან.

ამაში შევხედავ მთავარ შესწო-
ბას, რომელიც ახალ კომუნისტურ
პროლეტარიატს შეაქვს მარქსიზმში.
არის თავისუფალი მტკიცება,
რომელიც არ ეყრდნობა არავითარ
ტორიულ დებულებებზე და არც
მარქსიზმის ძირითად პრინციპებზე.
რუსული საბჭოების მთავრობა

(დასასრული ხვალ.)
ნ. ბათ. ფურ. № 63.

სველი საღამო

სველი საღამო შენს ნესტიან თვლებს ზაგონებს.
დავწვები ჩემად და დაუცდი მზის ქალბატონებს.

ვით ცრემლი წამწამს—ცამ ბალახებს აპყარა ხაო.
ვით შენი თვალი—ეს ტყეც გახდა ღვთის სამრეცხო.

სველი საღამო ძილს მკონისას უფრო ხტკბილებს.
დავწვები ჩემად და ვერ ვნახავ მთვარის თეთრ კბილებს.

ნერვის სიტყვებე მიმიყურდა ძარღვებში ოდნავ.
დავწვები და მეც მომბჭრდება ყველაფრის ცოდნა.

ძვირფასო! მახსოვს შენც სტიროდი როცა წახვედი,
და მე კი... დღესაც, მე, მყობადის გადამლახველი,—

მერვედ ვიგონებ ამ საღამოს, ამ ნაძვებს, ამ თვეს,
მერვედ, ძვირფასო, როცა ეგ თავი მერვედ წამართვეს!

მე ვფართხალედი, ვით საფანტით შემკრთალი ჩიტი.
შენ კი წამწამებს გიმძიმებდა თვალ-მარგალიტი.

წვებოდა ნისლი, ნისლი მთების შესამოსველი,
და ჩვენს თვლებში იზრდებოდა საღამო სველი.

ი. გრიშაშვილი

წალკერი
1919 წ.

აწარმოებს ყოველგვარ ოპოზიციის
ჩაკვლის პოლიტიკას, და მან შე-
ძლო შეენარჩუნებია ძალა-უფლება.
მაგრამ ეს ამტკიცებს იმას, რომ ის
ვერ იარსებებდა რომ პოლიტიკურ
გამტანლობის გზას დადგომოდა?
მაგრამ ისიც რომ დაუშვათ, რომ
განსაკუთრებული მდგომარეობის გა-
მო რეპრესიების პოლიტიკა აუცი-
ლებელი იყო რევოლიუციის გადა-
სარჩენად რუსეთში, განა ეს ნიშ-
ნავს, რომ სოციალისტურ რევოლი-
უციას სხვა ქვეყნებში თან დაყოფა
ასეთი პირობები? რეპრესიებისათვის
მიმართვის აუცილებლობა რევოლი-
უციონურ მთავრობის დასაცავად
ნაკარნახევი ამ შემთხვევაში იმ
სოციალისტურ ძალებით, რომელიც
უდგას ამ მთავრობას უკან.

თუ რევოლიუცია შედგება დრო-
სა და გარემოების ერთგვარი კომ-
ბინაციის, თუ ის ვერ გრძობს თა-
ვის სიმტკიცეს, მას შეუძლია გადა-
რჩეს მხოლოდ ყოველი ოპოზიციის
ძალით და საშინელი სიმკაცრით
ჩაკვლით. მაგრამ თუ რევოლიუციას
ღრმად აქვს გადგმული ფესვები
ხალხის დიდი უმრავლესობის აზრო-
ვნებაში და მისწრაფებებში და ერ-
თგვარათ შედგება მასების მოფიქ-
რებული და ორგანიზაციული მოძ-
რაობის, ის გადარჩება რეპრესიები-
სათვის მიუმართავად, ოპოზიციონურ
უმცირესობის ჩაუკლავათ.

სოციალისტ-რაციონალისტებს არ
სურთ ტერორის სამეფო, რომ დი-
ქტატორიონი „ძლიერ მთაბეჭდი-
ლებათა“ მოთხოვნა იყოს. ისინი
დასაშვებლად თვლიან რეპრესიებს
იმ შემთხვევაში, როცა ეს ნაკარნა-
ხევი აუცილებლობით და პირველ
ყოველისა მაშინ, როცა ამას უნდა
მიმართო, რომ უზასუხო მმართველი
კლასის აქტიურ ან მოსალოდნელ
ძალადობაზე. ყოველთვის, როცა
ასეთი პირობები დგება ისინი მიუ-
თითებენ რევოლიუციას თავის გზას.

ეყრდნობა რა მტკიცებაზე, რომ
პროლეტარიატის დიქტატურა მოი-
თხოვს ბურჟუაზიისათვის უფლებე-
ბის წართმევას, მოსკოვის ინტერ-
ნაციონალის წარმომადგენელი დეკ-
რეტით აცხადებს, რომ საბჭოების
ორგანიზაცია ამ დიქტატურის იარა-
ღი არისო.

ეს იგივე თავისუფალი მტკიცებაა,
რომელიც არავითარ თვალსაჩინო
საფუძველზე არ ეყრდნობა. ყველა

კლასიურ მთავრობის აქვს უფლება
რეპრესიებს მიმართოს. ევროპის და
ამერიკის მთავრობებმა პარლამენ-
ტურ რეჟიმის დროსაც მრავალჯერ
გვიჩვენეს მაგალითი მოქალაქეთა-
თვის თავისუფლებათა წართმევის
უფლებისა და პოლიტიკური ოპო-
ზიციის ჩაკვლისა.

საფრანგეთის დიდი რევოლიუციის
ბურჟუაზიულმა მთავრობამ რეპრე-
სიებისათვის მიუმართავთ მოახერხა
მიწა ჩამოერთვა, უკლებები წაეწ-
თვა, განეიარაღებია და კანონის წი-
ნაზე დაეყენებია მიწათ-მფლობელთა
კლასი და სპეციალური ტრიბუნა-
ლების შექმნით აღმოფხვრა კონტ-
რევოლიუციონური მოძრაობა. არა
გვაქვს საბაბი ვთქვათ, რომ ამას
ვერ მოახერხებს მუშათა კლასის
მთავრობა, თუ საბჭოების სისტემის
მიხედვით არ მოეწყობა.

საერთოდ რომ ვთქვათ საბჭოები
არას დროს არ ყოფილა ცნობილი,
როგორც კლასიურ ბრძოლის ორ-
განიზაციება, როგორც არიან სო-
ციალისტური პარტიები და მუშათა
პროფესიული კავშირები. ეს სპეცი-
ფიურად რუსული ორგანიზაციებია,
რომლის არსებობა აიხსნება რუსე-
თის მუშათა კლასის საკმაო მო-
უშაადებლობით.

იმ ხანათ, როცა რუსეთის რევო-
ლიუცია დაიწყო 1917 წელს რუ-
სეთში რომ საკმაოთ ძლიერი, გა-
ერთიანებული სოციალისტური და
სინდიკალური ორგანიზაცია ყოფი-
ლიყო, შესაძლებელია მდგომარეობა
შეენარჩუნებიათ მათ ორივეს ერ-
თად.

მაგრამ რუსეთის რევოლიუციამ,
შეიძლება ითქვას, მოეწრო მუშებს
სრულიად მოუშაადებლათ და ძალით
მოახვია-თავს საბჭოები, ნაჩქარევით
მოწვეული; ნახევრათ მოუწყობელი
—ხანმოკლე ორგანიზაციების მიხე-
დვით; რომელიც ჯერ კიდევ 1905
წელს შექმნეს პეტროგრადში.

მოკრის ხილკვიტი.

უცხიეთი.

გ მ რ მ ა ნ ი ა.

დიტმანის სიტყვა დამოუკიდებლობის
კონგრესზე.

ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ის
ეკონომიური პირობები, რომელშიც

შესაძლებელია სოციალისტური რევოლუციის
ხორციელება, ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ
ვიტაცოს უტოაბებმა, რომლებიც
უარყოფილია ათეულ წლების წინათ.
როგორც მარქსისტმა ჩვენ ვიცით,
რომ სოციალიზმის განხორციელება
შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიურ
ნიადგზე, რომელსაც ქმნის კაპიტალიზ-
მი. მაგრამ საჭიროა ხალხიც, რო-
მელთაც შეუძლიათ და მზად არიან
იბრძოლონ ჩვენი მიზნებისათვის.

პოლიტიკური ძალაუფლების ხელ-
ში ჩაგდება აუცილებელი პირობაა
საწარმოო მექანიზმის გადააქ-
მნელად.

ომის შედეგები აძნელებენ სოცი-
ალიზმის განხორციელებას იმ შემთხ-
ვევაშიც, თუ გინდ ჩვენ პოლიტი-
კური ძალაუფლებაც ჩავგდოთ ხელ-
ში, ჩვენ ვიცით, რომ რამდენათ
იღრე დასაპირდება კაპიტალიზმი მით
უფრო ახლოა სოციალიზმის განხორ-
ციელების ხანა. მაგრამ უნდა ვისწ-
რაფოდეთ კაპიტალისტურ სახელმ-
წიფოებთან ბრძოლისკენ? ჩვენი
სოციალისტური სოფ მხედველობის
მიხედვით ჩვენ ომის წინააღმდეგ
უნდა გავილაშქროთ. პოლიტიკური
გარდაქმნა მხოლოდ მაშინ იქნება
მტკიცე, როცა საშინო ეკონომიურ
პირობები მომზადებული იქნება.

დიტმანი კითხულობს ამონაწერს
კაუტსის შრომიდან, სადაც ნათქვა-
ნია, რომ რევოლიუცია, რომელიც
იფეთქებს როგორც ომის შედეგი,
ვერ მიგვიყვანს სოციალიზმის გან-
ხორციელებამდე; ომს შეეგებათ
მოყვებოდა ბარბაროსობის დაბრუ-
ნება. კაუტსიმ ეს დაწერა ომამდის,
მაგრამ ეს მართალია ახლაც, ძალა-
დობის ქადაგება სახიფათო იქნება
პროლეტარიატისათვის. დიმიტრი ხე-
დავს მხოლოდ ორ შესაძლებლობას:
კაპიტალიზმის სრული დამარცხება
ან პროლეტარიატის დაღუპვა.

მე ვამბობ ჩვენი პარტია ყველა-
ფერისთვის მზად უნდა იყოს. სინამ-
ღვილე შორს არის ბუღვარულ
რომანიდან, სადაც არის მხოლოდ
სიკეთე და ბოროტება. ჩვენ მტკი-
ცედ მივდევთ ლასაუის პრინციპს—
მთელი ყურადღება მივაპყროთ უახ-
ლოეს ამოცანას და იმავე დროს
მხედველობიდან არ გამოუშვათ ფარ-
თო პერსპექტივები. დიმიტრის მე-
გობრები ანგარიშს არ უწევენ ამ
საშუალო საფეხურს, რომლის გავ-
ლა აუცილებლათ საჭიროა მიზნის
მისაღწევათ.

ამხ. დიტმანი კითხულობს ამო-
ნაწერს ლენინის ნაწერიდან „კო-
მუნისტის ყმაწვილური სენი“, რო-
მელიც ნათელყოფენ იმ პოლიტი-
კას, რომელსაც მოითხოვენ დიმი-
ტიდან და მ სი ამხანაგებიდან. ის
რასაც აქ აქტივობებს ლენინი, მისი
მეგობრები გვიჩვენებენ შივილოთ.

ჩვენი მიზანია პოლიტიკური ძალა-
უფლების დაპყრობამდე მთელი
პროლეტარიატის სიმბატების დაპყ-
რობა, ძალით სოციალისტებათ ვე-
რავის გადავატყვევო. ჩვენ უნდა ილ-
ვზარდოთ მუშები, როგორც შეგ-
ნებული მებრძოლები პოლიტიკური
უფლებების დასაპყრობათ და სოცია-
ლიზმის განხორციელებლად.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს არ
არის მათემატიკური ამოცანა, შე-
საძლებელია მდგომარეობა როცა
ჩვენ ხელში გადავიტყვევო პოლიტიკური
ძალაუფლება და ჩვენ ყოველ საშ-
ვალებას ვიხმართ შევიწარმუნოთ.
ის მაგრამ ჩვენ არ ვაყენებთ ამ



შესაძლებლობას, როგორც ერთად ერთად.

პოლონეთი.

პოლონეთის სოც. პარტია და ლიტვის საკითხი.

ბრიტანიის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის შეკითხვაზე ლიტვის საკითხის შესახებ. პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ შემდეგი პასუხი მიცა:

პოლონეთის მთავრობამ de facto იცნო ლიტვის დამოუკიდებლობა ამა წლის ივლისში, სოციალისტური პარტია ცდილობს პოლონეთში ეს დამოუკიდებლობა ეტნოგრაფიულ საზღვრებში იცნოს. მთავრობა, თანახმად ჩვენთვის მოცემული დაპირებისა, მხად არის ასე მოიქცეს, მაგრამ მიუთითებს, რომ ლიტვის ეტნოგრაფიული საზღვრები არ შეესაბამება იმ საზღვრებს, რომელიც მიეკუთვნა ლიტვას რუსეთთან ხელშეკრულებით 1920 წ. 12 ივლისს, — პოლონეთის სოციალისტური პარტია ამ ხელშეკრულებას თვლის იმპერიალისტურ ხელშეკრულებად და ფიქრობს, რომ ვილნოს და გროდნოს გუბერნიების მცხოვრებთ უნდა მიეცეს თვითგამორკვევის უფლება.

პოლონეთი და ლიტვა.

გაზ. „Cazetta Wiccorua“ იუწყება, რომ ლიტვის მთავრობა ჯერებს აგრძელებს ვილნოდან 14 კილომეტრზე, რათა აქ გაუწიოს წინააღმდეგობა ზელიკოვსკის არმიის ლიტვის ჯარების შეტევის მოლოდინში ზელიკოვსკიმ ვილნოდან გააძევა ანტანტის წარმომადგენლები.

ბ ე ლ ვ ი ა.

პროფესიონალური კავშირები და სოციალიზმი.

14 ოქტომბერს ბელგიაში დაიწყო დიდი პროფესიონალური კავშირების ყრილობა, რომელიც იხილავდა წარმოების სოციალიზაციის საკითხს, ეს საკითხი დასმულია აგრეთვე ლონდონში მოწვეულ პროფ. კავშირების საერთაშორისო ყრილობაზე. ლონდონის ყრილობისათვის მოსამზადებლათ ამხ. ლომბარმა და ფტრავერმა, ყრილობას აცნობეს ის დასკვნები, რომელიც მათ გამოიტანეს ჯერ წასულ ყრილობაზე.

მომხსენებლებმა მიუთითეს, რომ წარმოების ყველა დარგები განვითარების და კონცენტრაციის იმ წერტილამდე მივიდა, რომ შესაძლებელია მათი სოციალიზაცია.

რკინის გზების, გემების, ტრამვაის, ქარხნების, ელექტრონის ქარხნების, გაზის ფაბრიკების, დასხვა საზოგადოებათა, ბანკების და სხვა საკრედიტო დაწესებულებათა სოციალიზაცია შესაძლებელია დაუყოვნებლივ.

მაგრამ როგორ უნდა გავიგოთ ჩვენ სოციალიზაცია!

ეს რომ ნიშნავდეს წარმოების ამ თუ იმ დარგის სახელმწიფოსათვის გადაცემას, შეიძლება ითქვას რომ ბელგიის რკინის გზების დიდი ნაწილი უკვე ასეთი სოციალიზაციის საგანი გახდა.

მაგრამ საკითხი სულ სხვა წარადგას. რომ სოციალიზაცია ცხოვრებაში გატარდეს საჭიროა, წარმოების გაშვებაში (რომ სახელმწიფოს ხელში) მომხმარებლები და მუშები თანხმად მონაწილეობას იღებდნენ.

როგორ ფორმებში ჩამოყალიბდება ეს თანამშრომლობა? არ შეიძლება

სამაზრო სახლი ქმ. სსსიაშვილები და ახს. შერემეტევის ქ. № 74.

ნატურალური კონიაკი

ვაჭრობა ბითუმით, ბოქვებით და ბოთლობით.

კ უ რ ი ს ლ 3 0 6 0

„რ ე კ ლ რ დ ი“

საუკეთესოდ გაწმენილი „სავლის“ აპარატებით

მ უ რ ა ძ ნ ი ს ა რ ა შ ი.

ხ ი ლ ი ს ა რ ა შ ი (, 3 0 3 0 0)

ახლად დამზადებული ახალი ლენინიდან. სიყალბის და მიბაძვის თავიდან ასაცილებლათ ფირმა სთხოვს ყველა მომხმარებელთ, წოითხოვონ ბოთლები, რომლებზეც ქარხნის ბეჭედი პრობკაზე მთავლია.

ბა ყველა დარგებისათვის ერთი და იგივე წესების გამოყენება. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ცალკე წარმოებათა განსაკუთრებული თვისებები. ეს არის მოვალეობა ნაციონალური ეკონომიური კომიტეტისა, რომელიც შევლენ ყველა სპეციალისტები. გამოდიან რა ამ დასკვნებიდან, მომხსენებლები უდგენენ ყრილობას, რეზოლიუციას, რომლის მთავარი მუხლები ასეთია:

ყრილობა საჭიროდ ცნობს ეკონომიური საბჭოს შექმნას, რომლის ნახევარი შემადგენლობას ყოველ შემთხვევაში შეადგენენ სპეციალისტები. ყრილობა საჭიროდ თვლის ვაიკნოს მხარეს და საზოგადოებრივ აზრს, რომელსაც გამოიყენებს პროფესიული კავშირები.

ყრილობა აცხადებს: 1) პრინციპიალურად, კაპიტალემა, რომელიც შენახულია იმ დაწესებულებებში, რომელსაც სოციალიზაცია უნდა იყოს გარანტია მიეცემა ზარალის ანაზღაურებით და განსაზღვრულ ზანაში რენტის მიცემით.

2) ადმინისტრაციაში უნდა შედიოდეს: კაპიტალის პატრონები (სახელმწიფო ან სხვა დაწესებულება), მუშები და მომხმარებლები. მხედველობაში აქვს რა, რომ სოციალიზაციის დაუყოვნებლივ განხორციელებას მოითხოვს მთელი მცხოვრებთა ინტერესები, ყრილობა მიუთითებს დარგებზე, რომლის სოციალიზაცია პირველ რაგში უნდა მოხდეს—ასეთი არის რკინის გზები, ქვანახშირის ქარხნები, საკრედიტო დაწესებულებანი, დამზადვევი საზოგადოებები და ბანკები.

სხვა და სხვა ამბები.

კარინთიაში.

მოკავშირეთა საპლემბისტო კომისიამ დაადგინა კირინთია შეუერთდეს ავსტრიას, რადგან პლემბისტი ავსტრიის სასარგებლოდ დამთავრდა. სამხრეთ-სლავების მთავრობა არ შეუერთდა თავისთვის არა სასარგებლო შედეგებს და შეიარაღებული ძალებით დაიკავა კორინთია.

ინგლისის სოციალისტები და ირლანდიის საკითხი.

ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის საბჭომ 14 ოქტომბერს მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ნაციონალურმა ადმინისტრაციულმა საბჭომ აღვლევებით წაიკითხა ლოიდ-ჯორჯის სიტყვა ირლანდიის საკითხის შესახებ და ბრალს დებს მას და მის კოლეგებს იმაში, რომ ისინი მხარს უჭერენ ტერორსა და რეპრესიებს ირლანდიაში. საბჭო აფრთხილებს ამ მინისტრებს და ამბობს, რომ ისინი სასტიკ პასუხს აგებენ იმ

დიდი ბოროტების გამო, რომელიც ინგლისის შეიარაღებულმა ძალებმა ჩაიდინეს ირლანდიაში და მოითხოვენ საპარლამენტო კომისიის დანიშნას დამნაშავე მინისტრებს. პასუხისგებაში ბისაცემათ.

საბჭო მოუწოდებს მთავრობას გამოიწვიოს ირლანდიიდან ინგლისის ყველა შეიარაღებული ძალები და—სანამ გვიან არ არის მისცეს ნრული უფლება დამოუკიდებლობისა, რომელიც შეპირდენ ყველა ერებს, როგორც პატარა ისე დიდებს.

ზემო-სილეზიის ავტონომია.

საგარეო საქმეების შესახებ არჩეულმა საპარლამენტო კომისიამ საიმპერიო და ადგილობრივ მთავრობათა წარმომადგენლების და აგრეთვე რეისტაგის ზემო-სილეზიის დეპუტატების თანდასწრებით თათბირი გამართა ზემო სილეზიის საკათხის შესახებ, თათბირი 23 ოქტომბერს დამთავრდა. თათბირის დასასრულს მთავრობამ გააცხადა, რომ ახლო მომავალში გამოამუშავებული იქნება კანონ-პროექტი, რომლის თანახმად ზემო-სილეზიის, თუ პლემბისტი გერმანიის სასარგებლოდ დამთავრდა, სრული ფედერატიული ავტონომია მიეცემა, თუ რა საკვირველია აქამდე მცხოვრებლები მოისურვებს. როგორც თათბირის მსვლელობიდან და პარტიების ხელმძღვანელთა განცხადებებიდან ჩანს, ამ კანონპროექტის მიღება რეისტაგის მიერ უზრუნველყოფილია.

სასურსათო დამზარება ავსტრიის.

„არბეიატ. ტაიტ.“ ცნობით საერთაშორისო სასურსათო კომიტეტმა მიიღო ზომები ავსტრიის სასურსათო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. გოლანდიის მთავრობამ გადაადგა: 2 მილიონი გულდენი შაქრის შესაძენათ, 3 მილიონი—ქართობილად. შესაძენათ, ასეთივე თანხები გადადვა დანიის მთავრობამაც.

მილიტარისტული პოლიტიკის ფასი.

საფრანგეთის სამხედრო სემინისტრას ბიუჯეტით ნავარაუდევია

3.299.324.000 ფრანკი ჩვეულებრივი ხარჯები და 2.527.986.000 არა ჩვეულებრივი ხარჯები. სულ სამხედრო ხარჯები 1921 წლისათვის უდრის 5.897.310.00 ფრანკს.

საოკუპაციო ჯარებისათვის ხარჯები ნავარაუდევია 636.064.000 ფრანკი, მაროკოსათვის 591.000.000 გაზ. „Frei Wovelle“-ს ცნობით სირიის არმია, პოლონეთის და ვრანგელის დახმარება საფრანგეთს უჯდება ორი მილიარდი ფრანკი.

საბჭოთა რუსეთი.

თუ გინდ მუშები იყვენ. კომუნისტური გაზ. „ტრუდ“ წერი: მუშები, როცა გაქვირებულ მდგომარეობაში ვარდებიან, გადადიან ვილაც თითქოს მიწიდან ამოსულ მოლაღატების გავლენის ქვეშ. ყველა ესენი არიან მენშევიკები და ისინი ვინც თავისთავს უპარტიოა უწოდებს.

მათი მმართველობის ისტორია ჩვენ ვიცით როგორც კერენსკის დროს, ისე ურალში და ციმბირში. მოქმედების ხაზი ერთი და იგივეა—წარმოების კაპიტალისტურისათვის გადაცემა.

ჩვენ მივედით გადამწყვეტ მომენტამდე, ყველა მოწურჩილებები და ისინი ვინც მუშებს ამხედრებენ ამ მომენტებზე უნდა იქმნან, თუ გინდ ეს პროვოკატორები მუშები იყვენ: Рухий гут Герло и Келено им на грудь.

კომუნისტებმა გაანადგურეს წარმოება, გლეხის მეურნეობა, რკინისგზა, დენიკინი, კოლჩაკი, იუდენიჩი, სემიონოვი, ვრანგელი. ახლა ჯერი მუშებზეა და გასაკვირი არ იქნება სისხლით დამთვრალმა კომისარ თერმპურობელებმა მუშებზე დაიწყოს ნადირობა.

როგორი მოსაწონია? სოციალისტური მთავრობა და Рухий гут Герло и Келено им на грудь, თუ გინდ მუშები იყოს?

სარედაქციო კოლეგია.

გამყრალიქის შირკი.

ხუთშაბათი 25 ნოემბერი.

დიდი წარმოდგენა

ჩამოსულ არტისტებისა, გამოხვლა ცნობილ დარელოვების. გადქვება სექცენო ჩემპიონატისა. 1. გამოჩენილი ფალავანი სათათრეთისა კარაუსუფი და უცნობის. 2. საბოლოო ქილობა ერმაკოვისა და წითელი ნილაბი. 3. მურომეცი და მოზინგი. ამ დღეებში წითელი ნილაბის ბენეფისია. კვირას 28 ნოემბერს, დიდი საბავშო წარმოდგენა. დასაწყისი 12 საათზე.

